

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი 1997 წელი -№ 47-48) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 127-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის ჩათვლა შეუსაბამოდ ან უადგილოდ და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ხოლო როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს, მაშინ - სხდომის თავმჯდომარეს.“.

2. 134-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ ნაწილი:

„3¹. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელ პირს შეუძლია, ასევე გამოითხოვოს შესაბამისი მხარისგან ერთგვაროვანი (ერთი ტიპის) დოკუმენტები კონკრეტული რეკვიზიტების მითითების გარეშე, იმ ვარაუდით რომ აღნიშნული დოკუმენტებით შეიძლება დადგინდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები.“.

3. 217¹ მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმეზე მოხსენებით, რაც უნდა შეეხებოდეს სადავო ფაქტობრივ გარემოებებს. საქმის მოხსენების შემდეგ მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევას. მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. მტკიცებულებათა გამოკვეყნება არ არის სავალდებულო. საქმის განხილვა მთავრდება მხარეთა პაუზით და რეპლიკით.“.

4. 221-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 221. მხარეთა შეკითხვები

მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამორკვევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ანდა სასამართლოს – კოლეგიურად, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო განიხილავს.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი